ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

კონკურსის მეშვეობით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის საგანგებო სიტუაციების სამსახურის შენობის მშენებლობის და ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია ”სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონისა და კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის **2011** წლის **10** თებერვლის ბრძანება **№3** საფუძველზე.

ზუგდიდი, 2012 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. საკონკურსო განცხადება

2. ხელშეკრულების პროექტი

3. საკონკურსო შეთავაზების ფორმა (დანართი #1)

4. აფიდავიტი (დანართი #2)

5. ინფორმაცია გამოცდილების შესახებ (დანართი #3)

განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი აცხადებს კონკურსს საპროექტო მომსახურების საკონკურსო წესით სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
2. კონკურსის მიზანია: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის საგანგეობო სიტუაციების სამსახურისათვის სახანძრო დეპოს 16 მანქანის სადგომზე სრულყოფილი საპრეოქტო დოკუმენტაციის შედგენაზე. წარმოდგენილი უნდა იქნას არქიტექურული პროექტი და ეზოს კეთილმოწყობის პროექტი შვეულმფრენის დასაჯდომი ადგილის გათვალისწინებით.
3. <u>შესყიდვის ღირებულება შეადგენს: 70000 (სამოცდაათი ათასი) ლარი.</u>
4. საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge).
5. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
   ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
   ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
   გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
   დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.
6. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს ამ წესის მე-4 და მე-5 მუხლებით გათვალისწინებულ საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება და პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.
7. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.
8. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ.

   <u>შენიშვნა (1)</u>: დოკუმენტაციის ან/და ინფორმაციის უცხო ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მას თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე. ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი დოკუმენტები, წარმოდგენილი უნდა იყოს დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები.

9. დაინტერესებულმა პირებმა მე-15 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტით მოთხოვნილი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ კონკურსის გამოცხადებიდან არაუგვიანეს 2012 წლის 03 ივლისს 13:00 სთ-სა. შემდეგ მისამართზე: ზუგდიდი, რუსთაველის ქ. #90, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა.
11. დაგვიანებით და საკონკურსო წინადადების წარმოდგენისათვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის გარეშე წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.
12. საკონკურსო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.
13. ანგარიშსწორების პირობებია:
    ა) მოხდება უნაღდო ანგარისწორებით ლარში.
    ბ) ანგარიშსწორება მოხდება ერთ ეტაპად მიღება–ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის ან კანონმდებლობით დაშვებული სხვა დოკუმენტის საფუძველზე, 15

კალენდარული დღის განმავლობაში.

14. კონკურსანტმა საკონკურსო წინადადებაში უნდა მიუთითოს :
    - საკონკურსო წინადადების ფასი გამოსახული უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში (კონკურსით გათვალისწინებული დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადები);
15. კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს:

ა) პირველ ეტაპზე არაუგვიანეს 2012 წლის 03 ივლისს 13:00 სთ-სა კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს:
- შენობის ვიზუალურ ესკიზური პროექტი. კერძოდ ესკიზური პროექტი უნდა შეიცავდეს:
    1. აუცილებელი პირობაა: შესასრულებელი ესკიზური პროექტი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის 2003 წლის 01 მაისი-29 აპრლი #147-12 ერთობლივ ბრძანებას;
    2. განმარტებითი ბარათი, რომელშიც აღწერილი უნდა იყოს პროექტის დახასიათება;
    3. გენერალური გეგმა (შენობის ეზოს კეთილმოწყობით);
    4. სართულების გეგმები მასშტაბი 1:100მ;
    5. შენობის ყველა ფასადი, მასშტაბი 1:100მ;
    6. მაღალი ხარისხის ფოტო მონტაჟი და რენდერები (ვიზუალიზაცია) მოსაპირკეთებელი მასალების მითითებით;
    7. ასაშენებლი ობიექტის (შენობის და ტერიტორიის) დიზაინერული გადაწყვეტა.
- საკონკურსო შეთავაზება (დანართი #1-ს შესაბამისად);
- აფიდავიტი (დანართი #-2-ს შესაბამისად).
- მე-17 მუხლის მოთხოვნის დაცვით შედგენილი ინფორმაცია გამოცდილების შესახებ (დანართი #3-ს შესაბამისად).

ბ) გამარჯვების შემთხვევაში მეორე ეტაპზე არაუგვიანეს ხელშეკრულების გაფომრებიდან 50 (ორმოცდაათი) კალენდარული დღისა კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს:
- საინჟინრო-გეოლოგიურ დასკვნა, ტოპოგადაღება WGS კოორდინატთა სისტემაში 1:500მ მასშტაბით, სიტუაციური რუქა 1:500 მ მასშტაბი, კონსტრუქციული ნაწილი, მშენებლობის ორგანიზაცია, შესასრულებელ სამუშაოთა კრებსითი ხარჯთაღრიცხვა, ელექტრო და საკანალიზაციო კომუნიკაციების მიბმის პროექტი;
- სამშენებლო მოედნის გეოლოგიური კვლევა;
- განმარტებითი ბარათი;
- უწყისები (სამუშაოთა მოცულობის კრებსითი უწყისი);
- მშენებლობის ორგანიზაცია (მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი; ძირითადი მასალების ამონაკრები, საჭირო ტექნიკის ჩამონათვალი, მშენებლობის კალენდარული გრაფიკი, სამუშაოთა წარმოების პროექტი);
- გრაფიკული ნაწილი (გეგმები, სიტუაციური გეგმა, ტოპოგადაღება WGS კოორდინატთა სისტემაში);
- საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება კავშირგაბმულობასთან, ენეგოკომპანიასთან, წყალმომარაგების კომპანისთან, გაზმომარაგების კომპანიასთან);
- ხარჯთაღრიცხვა (საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და საბაზრო ფასების გათვალისწინებით);

- ინტერიერში გათბობა-კონდენცირების და სავენტილაციო სისტემის მოწყობის პროექტი;
- ეზოს კეთილმოწყობის პროექტი შვეულმფრენის დასაჯდომი ადგილის გათვალისწინებით;
- პროექტის ექსპერტიზა;
- სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება;
- პროექტის ელექტრონული ვერსია (პროექტის ნაბეჭდი ვერსია 4 ეგზემპლიარად);

<u>შენიშვნა (2):</u> ყველა ზემოთჩამოთვლილი დოკუმენტაციის 4 ეგზემპლიარი უნდა იყოს ნაბეჭდი A3 ფორმატში, ხოლო ელექტრონული ვერსია წარმოდგენილი – PDF ფორმატში.

16. პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული საკონკურსო წინადადება.
17. კონკურსში მონაწილეს უნდა გააჩნდეს მინიმუმ ბოლო 3 (სამი) წლის (2010, 2011 და 2012 წწ) განმავლობაში საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის განხორციელების გამოცდილება.
18. საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას არ განიხილება.
19. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა: კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა უმრავლესობის ხმებს მიიღებს.
20. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზების გამო, აგრეთვე სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის აუნაზღაუროს კონკურსანტს შესყიდვაში მონაწილეობის ხარჯები.
21. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირებისაგან:
    საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი: ბესიკ ქარდავა: ტელ: 595 22 27 88, (kardava.b@gmail.com)

<u>შენიშვნა (3):</u> გამარჯვებულმა უნდა უზრუნველყოს პროექტის საავტორო ზედამხედველობა პროექტის განხორციელების პროცესში (საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით კონსულტაციის გაწევა, საჭიროებისამებრ საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება, პროექტისა და შესრულებული სამუშაოების იდენტურობის დადასტურება).

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ი ს
პ რ ო ე ქ ტ ი

ქ. ზუგდიდი — 2012 წელი

ერთის მხრივ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო, საკრებულოს თავმჯდომარის ლევან კონჯარიას სახით (შემდგომში - შემსყიდველი), და მეორეს მხრივ, ———————— (შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილი ———————— სახით, კონკურსის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ---------- მომსახურება.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულებაა_____ლარი.
3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. მხარეთა ვალდებულობები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდება შემდეგ მისამართზე: ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №90.
ბ) საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს ცვლილებები შემსყიდველის დაკვეთით. ასევე განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყონებლივ უზრუნველუყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;
გ) განახორციელოს პროექტის საავტორო ზედამხედველობა;
დ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულობები.
4.2 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;
ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. მომსახურების ხარისხი

5.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს .

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველს მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განახორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.
6.2 ინსპექტირებას განახორციელებენ----------
6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნით გაწეული მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში გამოასწოროს წუნი ან, თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.
6.4 თუ ამ მუხლის 6.3 პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორების შეუძლებელებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.
6.5 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველის კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით და ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.
7.2 მომსახურების მიღებას აწარმოებს ----------.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
ა) ანგარიშსწორების ვალუტაა-ლარი;
ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.
8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და ანგარიშ-ფაქტურის ან კანონმდებლობით დაშვებული სხვა დოკუმენტის წარმოდგენიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელდების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი

შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარე ები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშ ეკრულების 4.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირსაგამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.
10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიმწოდებელს ეკისრება პირსაგამტეხლო წუნდებული მომსახურების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.
10.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირსაგამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირსაგამტეხლოს ანაზღაურება.
10.4 პირსაგამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შო რის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.
12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველს უფლებამოსილია შეწყვეტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას; ან

მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევაში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს ----------ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მი ერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულობების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს -მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს -მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

16. სხვა პირობები

16.1 ხელშეკრულების შედგენილია ხუთი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ოთხი შემსყიდველს.

შემსყიდველი ორგანიზაცია:	მიმწოდებელი ორგანიზაცია:
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი:	
საკრებულოს თავმჯდომარე	
ლევან კონჯარია	

დანართი #1

კონკურსანტის შეთავაზება

1.	პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:	
	ხელმძღვანელის სახელი და გვარი:	
	პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:	
	საიდენტიფიკაციო კოდი:	
	პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:	
	ელექტრონული მისამართი:	
	ბანკი:	
	ბანკის კოდი:	
	ანგარიშის ნომერი:	
2.	საკონკურსო წინანადების ღირებულება: (ყველა გადასახადის ჩათვლით)	

პრეტენდენტის ხელმოწერა _____

დანართი #2

აფიდავიტი

საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

- ჩემთვის ცნობილია, რომ საკონკურსო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;
- უფლებამოსილი ვარ პრეტენენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს საკონკურსო წინადადება;
- ნებისმიერ პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია საკონკურსო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;
- ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს საკონკურსო წინადადება ამ კონკურსში;
- მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:
    - საკონკურსო წინადადების ფასი;
    - საკონკურსო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
    - საკონკურსო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
    - ისეთი საკონკურსო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული კონკურსის პირობებს;
    - შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება საკონკურსო წინადადება;

* საკონკურსო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს საკონკურსო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე. გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

თანხმობა

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195[1] მუხლის შესაბამისად.

დანართი #3

ინფორმაცია ბოლო 3 (სამი) წლის (2010, 2011 და 2012 წწ) განმავლობაში საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის გამოცდილების შესახებ

შევსების თარიღი: ----------

პრეტენდენტის დასახელება: ----------

#	მომსახურების დასახელება	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების დადების თარიღი, ხელშეკრულების #	ხელშეკრულების ღირებულება	ფაქტიურად მიღებული თანხის ოდენობა
1					
2					
3					
4					

პრეტენდნეტის ხელმოწერა----------